



„სამართლიანი არჩევნების“ განცხადება

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ ადასტურებს ორგანიზაციის მიერ წინასაარჩევნო პერიოდში გავრცელებულ ინფორმაციას, სპეციალურ სიაში ამომრჩეველთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით. კერძოდ, 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებისთვის, სპეციალურ სიაში დამატებულ იქნა უბანთა და ამომრჩეველთა რაოდენობა, 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით.

ორგანიზაციამ განახორციელა შედარებითი ანალიზი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისათვის შექმნილ სპეციალურ უბნებსა და მათში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა შორის. წარმოგიდგინთ შედარებითი ანალიზის ცხრილს, რეგიონების მიხედვით.

რეგიონი	საპრეზიდენტო		საპარლამენტო		განსხვავებები	
	უბნები	ამომრჩ.	უბნები	ამომრჩ.	განსხვავება ამომრჩ. რაოდ.	განსხვავება პროცენტებში
თბილისი	28	15,749	27	21,628	5,879	37.3%
აჭარა	3	704	5	3,449	2,745	389.9%
გურია	0	0	0	0	0	0.0%
იმერეთი	8	2,988	11	6,476	3,488	116.7%
კახეთი	1	145	2	663	518	357.2%
ქვემო ქართლი	8	6,798	5	4,718	-2,080	-30.6%
მცხეთა-მთიანეთი	2	521	4	881	360	69.1%
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	0	0	0	0	0	0.0%
სამცხე-ჯავახეთი	3	583	3	491	-92	-15.8%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	5	5,630	6	6,074	444	7.9%
შიდა ქართლი	9	3,901	10	5,411	1,510	38.7%
	67	37,019	73	49,791	12,772	34.5%